№ 229 30 ოკტომბერი, ხუთშაბათი. 1866—1880 30 ოკტომბერი, ხუთშაბათი. № 229

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

[illegible] შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ ред. „Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად	13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
ცალკე „ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან, 6

ფასი განცხადებისა

[illegible] 1 კაპ., [illegible]

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდის

დროება

ღირს სამი მანეთი

ივერია

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

ავაზაკობის მიზეზი ბორჩალოში

ტფილისი, 28 ოქტომბერს.

ბორჩალოს თათრები ყოველთვის განთქმული იყვნენ ქურდობით, ავაზაკობით და სხვა და სხვა ბოროტმოქმედებით. როცა საქართველოს სხვა ნაწილებში ვინმე გაავაზაკდებოდა და შინ დასადგომი პირი აღარ ჰქონდა, აქ, ბორჩალოში გამოიქცეოდა, აქ შეიფარავდა თავს; აქ გროვდებოდნენ გუნდა-გუნდა ავაზაკები, ღამით გამოემგზავრებოდნენ, დაესხმოდნენ ვისმე თავს, გაცარცვავდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

ერთის სიტყვით, ბორჩალოს აღრიდგანვე ცუდი სახელი ჰქონდა ჩვენში; ეს იყო ბუდე ქურდებისა, კაცის-მკვლელებისა, ავაზაკებისა.

ყველას იმედი ჰქონდა; რომ ახალის სასამართლოების შემოღების შემდეგ, ცოტაც არის მოარჯულებდნენ ამ გაავზნევებულ ხალხსა; გვეგონა, რომ რაკი „მსწრაფლი და სამართლიანი“ სასამართლო გაჩნდება, რაც კარგი, მოუსყიდველი მოსამართლეები დაინიშნებიან, ამ გვარ ბოროტებას და ავაზაკობას ბოლო თუ არ მოეღება, ფრთები შეეკვეცება მაინც არის.

საუბედუროთ, ეს იმედი მოტყუებული დარჩა: სასამართლოების რეფორმის შემოღების შემდეგ ბორჩალოში ავაზაკობამ და ცუდ-კაცობამ რაც არ იმატა, არ უკლია. იქაურ ქართველებისა და სომხებისგან ხშირად მოგვდის საჩივარი, კვირა ისე არ გაივლისო, რომ ან ცხენი, ან რქიანი საქონელი არ მოგვტაცნონ, ან კაცი არ მოჰკლან და ან სხვა რამ არ ჩაიდინონო.

ამ უკანასკნელის ორი კვირის განმავალობაში, სხვათა შორის, შემდეგი სამი ავაზაკობა და კაცის კვლა მომხდარა:

თ. გ. ბარათაშვილის დედა მონავლა ამას წინათ სოფ. ყიზილ-ყილიარიდამ ჭამარლოში. რაღაც ქალალდები დავიწყნია და კაცი დაუბრუნებია გზიდამ ამ ქალალდების მოსატანათ. ამ კაცს გზაზე დახვედრიან ავაზაკები, ცხენი წაურთმევიათ, თვითონ მძიმეთ დაუჭრიათ და ყველაფერი, რაც ზედ ებადა, წაურთმევიათ. მამაკვდავმა სიკვდილის წინათ მოასწრო თურმე თავის მკვლელის დასახელება; ის მკვლელი პოლიციამ დაიჭირა, წარუდგინა გამომძიებელს, მოკლულის კაცის ცხენიც თავლაში ნახეს. მაგრამ ავაზაკი მეორე და მესამე დღეს თავდებობის ქვეშ გაათავისუფლა თურმე გამომძიებელმა.

მეორე შემთხვევა: ბორჩალოს მაზრისვე სოფ. იმირიდამ, რომელშიაც ნახევარი მცხოვრებლები ქართველები არიან და ნახევარიც თათრები, მოიტაცეს ქალი; ნათესავებმა შეიტყეს თუ არა ეს ამბავი, იმ წამსვე გამოცვივდნენ; მიეწივნენ გზაზე, ასტყდა სროლა და ამ სროლაში ქალის ძმაც მოჰკლეს. პოლიციამ ეს ქალის მომტაცებელიც დაიჭირა, წარუდგინა გამომძიებელს, მაგრამ ამან ესეც თავდებობით გამოუშვაო.

მესამე: სოფ. შიბილლარში ადგილობრივ მოლლის შვილს ერთი ქალის ძალად გაუპატიურება განეზრახა იმ დროს, როდესაც ამ ქალის ქმარი შინ არ იმყოფებოდა. მაგრამ როცა ის ქალი ოთახში შევიდა, ქალმა და მეორე დედა-კაცმაც, რომელიც იმ ოთახშივე იწვა, შეჰქნეს ყვირილი, ყვირილზე ხალხი მოგროვდა და ერთ ამათგანი—კონაკი—მუგუზლით მიუახლოვდა ოთახში, ამ დროს ის კაცი გამოვარდა გარეთ ამოღებულის ხანჯლით და ისი მძიმედ დასჭრა ეს კონაკი, რომ სიკვდილს ვერ გადურჩებაო.

დედა-კაცებმა და კაცებმა იცნეს ეს მოლლის ვაჟი, მეორე დღეს დაიჭირეს, დასისხლიანებული ხანჯალიც უპოვნეს; მაგრამ რა, გამომძიებელმა ესეც გაათავისუფლა თავდებობითაო.

აი ამისთანა ამბები ხდება ბორჩალოში და ხდება ისე დაუსჯელად, რომ არავის შიში და მორიდება არა აქვს არც პოლიციისა და არც სასამართლოსი.

როგორც გვწერენ და გვარწმუნებენ ჩვენი კორრესპოდენტები, ამ ავაზაკობის გახშირებისა და გათამამების მიზეზი აქაც იგივეა, რაც საზოგადოთ საქართველოს ზოგიერთ სხვა ნაწილებში:

ერთი, რომ თვითონ მომრიგებელი მოსამართლე ფორმალურად უყურებს თავის თანამდებობას, მაინცა-და-მაინც თავს არ იწუხებს, რომ კვალში ჩაუდგეს ბოროტებას და ეცადოს იმის მოსპობას. მეორე გამომძიებელს არ აქებენ: ვილაც ახალ-გაზდა რუსი არისო, ახლად მოსული პეტერბურღიდამ, აქაური ხალხის არც ენა იცის, არც ხასიათი, არც ჩვეულება და არც სხვა რამ. ყველაფრის და ყველას ეშინიანო და ამისგამო თავიდამ იცილებს ყველა საქმეებსო.

მესამე მიზეზს იმასაც ამბობენ, რომ სამმართველოში ისეთი თარჯიმანი არისო, რომელმანც ხეირიანად არც რუსული იცის, არც თათრული, ხშირად ურიგოთ უთარგმნის მოსამართლეს და გამომძიებელსა და ამის გამო ხან მართალი მტყუნდება და ხან-კი მტყუანი მართლდება.

მაგრამ ყველაზე უფრო ცუდი გავლენა ავაზაკობის გავრცელებაზედ იმ გარემოებას აქვს თურმე, რომ გამომძიებელმა, რაც უნდა აშკარა დამნაშავე ჩაიგდოს ხელში, რაც უნდა ცხადი საბუთები ჰქონდეს იმის გასამტყუნებლად, თავდებობით უშვებს. ამისგან წარმოსდგება ერთის მხრით ის, რომ ხალხი შეშინებულია, ვერავის ვერ გაუბედავს გასცეს, სამართალს ჩაუგდოს ხელში ავაზაკი, რადგან დარწმუნებულია, რომ მეორე დღეს გაათავისუფლებენ და შავ დღეს დააყენებს იმას გაცემისათვის, ან გადასწვავს და ან მოკლავს; მეორეს მხრით თვითონ ავაზაკებმაც იციან, რომ თავდებობით გაათავისუფლებენ და არაფრის შიში არა აქვსთ.

ერთის სიტყვით, სანამ ბორჩალოსაკენ სახალხო სკოლები არ გაიმართება, სანამ პატიოსანი, მხნე და ადგილობრივ ხალხის ენა-ხასიათისა და ჩვეულების მცოდნე ენერგიულ მოსამართლეებსა და მოხელეებს არ დაინიშნავენ...

«დროების» ფელტონი, 30 ოკტომ.

ქუთათური ფელტონი

ენკენისთვის 7-ს, „დროების“ ერთს ნომერში ჩვენი პოეტი აკაკი სწერდა ქართველ ქალებისა და კაცების უკუღმა მოქმედებაზე.

ეს ბევრს გაუკვირდა, თუმცა აქ საკვირველი არა არის-რა. თვით განსაჯეთ, ბატონებო: სიდგანაც სამართალს ელი, იქიდგან უსამართლოება გამოდის; ვისგანაც მორჩენას უნდა მოელოდე, იმისგან სიკვდილი მოგდის; ვისიც იმედი გაქვს, იმისაგან უიმედო რჩები, ერთის სიტყვით, რასაც ფიქრობ და ელი, ყოველივე წინაალმდეგ გამოდის.

აი, ბატონებო, თუ ჩემი არა გჯერათ, დაიარეთ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი საგამგეო და სამასწავლებლო, და თვითონ თქვენის თვალით დაინახავთ, რომ ათში ორი ასე ასრულებს პატიოსნად და სინიდისიანათ თავის მოვალეობას. თუ გნებავთ, მაგალითებითაც დაგიმტკიცებთ მე ამას.

25 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაათავისუფლა ერთი მევრელი მღვდელი, რომელსაც მეშვიდე მცნება დაერღვია და, თუ სულ არა, ნახევარი მეექვსეც. საქმის განხილვის შემდეგ, სასამართლომ გამოაცხადა, რომ მომჩივანს უარი ეყოს და მღვდელი კი გამართლდეს, ვინაიდგან მეშვიდე მცნების დარღვევა მღვდელს, როგორც კაცს, მიეტევება და მეექვსე მცნების დარღვევაში კი, როგორც ექიმი ამოწმებს, მართალი უნდა იყოსო.

აი ექიმი ამოწმებს, რომ იმ ღამეს, როცა ბ. მომჩივანი მღვდელს წასწრებია, მღვდელი სასიკვდილოთ მოუნდომებია, მარცხენა ხელით ხმალი გაუქნევია და თავისივე მარჯვენა ხელზე სანიშნებელი თითი გაუგდებინებიაო!....

როგორ ფიქრობთ ეხლა? თუ საქმე და მსჯელობა უკუღმა არ დატრიალებულიყო, განა მღვდელს ასე გაუშვებდნენ მეშვიდე მცნების სალეწავათ და ან იმ ბ. ექიმს შეეძლებოდა მარცხენა ხელისთვის იბრძანებინა მარჯვენა ხელზე სანიშნებელი თითის გაგდებინება?

კმარა ამაზე... მაგრამ აი რა მკვირვებს: კაცი ასე გადაბრუნებული იბადება, თუ მერმეთ იწყებს ბრუნებას? რასაკვირველია, მერმეთ. დღეს, რომ კარგია, ხვალ ფუჭია, და თუნდ ამ წელში პატიოსანი იყოს, მომავლისათვის მაინც გაცუღლუტდება!

ერთს აქაურ ექიმზე ამბობენ, რომ ახალ ჩამოსული რომ იყო, მაგისთანა პატიოსანი, თავდაბალი და გულმოწყალე ექიმი მეორე არ გვინახავსო; მაგრამ ეხლა კი სულ სხვაა, კაცს პირდაპირაც არ უმზერს; თვალებზე სათვალეები აქვს აფარებული და მგონი იმის ბრალიაო. მართლაც გასაკვირველია თითქმის ორი წილი სათვალებიანები კაცს პირდაპირ არ უმზერენ. ნუ თუ ის ოხერი სათვალეები სინათლეს უკარგვენ ხოლმე კაცს!?

ერთი სასწავლებლის უფროსზედაც

ნიშნავენ იქ, სანამ ყველა არ შეიტყობს, რომ კავკაზი ბოროტისათვის ყველას დასჯის და სიკეთისათვის დაჯილდოებს, სანამ ხალხი არ დარწმუნდება, რომ მთავრობა ბოროტს ბოროტად მოექცევა და კეთილს კეთილად, რომ სამართალი ყველასათვის თანასწორია,—მანამ ავაზაკობისა და ცუდ-საცობის მოსპობას ბორჩალოში ჩვენ არ უნდა მოველოდეთ ..

ახალი ამბები

—

ერთს პეტერბურგის გაზეთში დადებეჭდილია შემდეგი ამბავი კავკაზის გამოჯვნის თაობაზედ:

„13 მარტს 1879 წელს შედგა სახელმწიფო რჩევის გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც კავკასიის ნამესტნიკის მთავარ მმართველობას მიენდო, მოხახოს ღონის-ძიება კავკასიის ადგილ-მამულების საჩქაროდ გამოჯვნისათვის. ამ განკარგულების თანახმად, კავკასიის ნამესტნიკის ნთავარ—მმგეობამ შეადგინა ახალი წესდება კავკასიის გამოჯვნისა, რომლითაც შემსუბუქებული იქნება გამოჯვნის საქმე როგორც ტეხნიკურის მხრით, აგრეთვე იმ დაეების გარდაწყვეტა, რომელიც გამოჯვნის დროს ასტყდება. ამის გამმოჯვნელ კომისიას მოემატება რამდენიმე ჩინოვნიკი და ამნაირად ეს საქმე შემდეგში უეჭველია, უფრო მაწრაფლად წავა, ვინემ დღემდინ მიდიოდა.“

რაღა თქმა უნდა, სასიამოვნო და ჩვენის ქვეყნისათვის სასიკეთო იქნება, თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა.

***

მოგეხსენებათ, რომ კავკასიის ნამესტნიკის მთავარ—მმგეობის უფროსი ღენ. ლეინტ. სტაროსელსკი შავის ზღვის ნაპირების დასახედავად არის ამჟამად გაგზავნილი იმ განზრახვით, რომ ადგილობრივ გამოიკვლიოს—თუ რა ღონის-ძიებით შეიძლება ამ მხრის დახმარება, ეკონომიურად ამაღლება.

ამ საგნის შესახებ გაზ. „მოლოსში“ იწერებიან ნოვოროსიისკიდამ.

„ამ დღეებში ჩვენს მხარეში მიეღეთ ღენ. სტაროსელკი, რომელსაც მინდობილი აქვს მოხახოს საშვალება შავი ზღვის ნაპირა ადგილების დასახლებისა (?) ამ საგანზე მოსალაპარაკებლად მოწვეული არიან ბევრი აქაური დიდი მემამულეები; ზოგიერთი ამათგანი კიდეც მიეიდნენ; სხვათაშორის მოვიდა მოსკოვიდამ ნ. მამონტოვი, რომელსაც დიდი მეურნეობა აქვს გამართული სოჭის მახლობლად. ჩვენის მხრით ხალხი დიდის მღელვარებით შესცქერებია ამ კომისიის მუშაობას და გულის-ძგერით მოელის იმის გარდაწყვეტილებას, რადგან, მართლაც, ამ გარდაწყვეტილებაზედ არის დამოკიდებული ჩვენი მომავალი ბედი და უბედობა.“

***

ბავლილ ორშაბათის სხდომაზე ქალაქის რჩევამ, სხვათა შორის, დაადგინა გარდაწყვეტილება, რომ, რადგან ერევნის მეიდანი ამჟამად მოკირწყლულია, ამის გამო იარმუკა და ბაზარი მუხრანიანთ—ხიდის მეიდანიდამ ისევ ერევნის მეიდანზე იქმნეს გარდატანილიო;

ამნაირად, შემას და აგრეთვე სოფლის ნაწარმოებს, სურსათს, ყოველგვარ ხორაგეულს, რომელსაც დღემდინ მუხრანიანთ—ხიდისაკენ აყენებდნენ, დღეის შემდეგ ისევ ერევნის მეიდანზე გაჰყიდიან.

ამავე სხდომაზე ქალაქის ბამგეობამ მოახსენა რჩევას ბ. თფ. ბუბერ-ნატორის წინადადება, რომ ყველა აგურხანები, რომელიც კი ქალაქის წრეში არის უნდა დაიხუროსო.

ქალაქის რჩევამ გარდაწყვიტა, ექიმებისა და მცოდნე კაცებისაგან დაინიშნოს კამისია, რომელმანც განიხილოს—მაენებელია თუ არა ქალაქის მცხოვრებლებისათვის აგურხანები და თუ კამისია გადაწყვეტს, რომ მაენებელია, მხოლოთ მაშინ დახუროს.

***

თელავის მაზრის სოფ. შრიათუბნიდამ იწერებიან, სოფელმა განჩინება შეადგინა და გარდაწყვიტაო, რომ სასოფლო შკოლა გამართონ და ამისათვის მუდამ წელიწადს 350 მანეთი გაიოიღონ.

***

ჭუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 23-ს იქაური ქართულ ტრუპპას წარმოუდგენია თ. აკ. წერეთლის დრამმი „ქუდური-ხანუმ.“ მოთამაშეებს რამდენათაც შეიძლებოდა, კეთილ-სინდისიანად აუსრულებიათ თავის მოვალეობა, მაგრამ თვითონ პიესის ზოგიერთ სცენიკურ ნაკლულევანებამ დააბრკოლა ამ წარმოდგენის კეთილად წაველაო.

მომავალი ნოემბრისთვის პირველ რიცხვში ჭუთაისის ტრუპპა „უცარუვარე ათაბეგის“ წარმოდგენას ამზადებს.

***

ჭუთაისიდამვე გვატყობინებენ, რომ ერთი წევრთაგანი იქაურის ქალაქის ბამგეობისა ბ. ივანე ჯაიანი გამოსულა ბამგეობიდამაო ამ დღეებში უნდა იქნეს რჩევაში კენჭის-ყრა ამის სამაგიერო ახალის წევრის ამოსარჩევადაო.

***

ბორიდამ გვატყობინებენ, რომ მომავალ ნოემბრის 2-ს იქაურ ქართულ სცენის მოყვარეთა წრეს როტონდაში ექნება წარმოდგენა; წარმოადგენენ ბ. ანტ. ფურცელაძის ტრაგედიას „ავაზაკი.“

„დროების“ კორრესპონდენცია

სილნაღი, 25 ოქტ. ამ ორი კვირის წინათ მოვიდნენ სილნაღში კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველი ბატ. იანოვსკი და სახალხო სკოლების დირექტორი ბატ. სტრელეცკი. ამათ სხვათა შორის დაათვალიერეს სომხის სამრევლო სკოლები, სადაც შაგირდების ეგზამენის შემდეგ გამოსულიყვენ უკმაყოფილოდ, რადგანაც ვერც ერთ შაგირდს რიგიანად ვერ ეპასუხნათ; ამასთანავე დაემატნათ: „სჯობს, რომ დაიკეტოს სკოლა, თუ სწავლა ასე უნდა წავიდეო.“

უბედურება ეს არის, რომ საზოგადოებაც მაშინ აღელდა მასწავლებლებზე, რომ არას ასწავლიანო. დიდი ხანია კვნესოდა ეს სკოლა ამ ავათმყოფობაში, მაგრამ მორჩენა ვერ ეღირსა; რაც აკლდა, გორელ მასწავლებელმა მოუმატა.... ახლა სილნაღელები ამბობენ: „ჭირს ვაჟკაცობა ვაგლახს შევეყარეთო“.

დიდი ხანია, რაც სილნაღელები დიდის გულ-მოდგინებით ცდილობდნენ, რომ ჰქონოდათ პროგიმნაზია, მაგრამ დიდი ხარჯის გამო უკუ შედგნენ; ქალაქსაც არა ჰქონდა იმდენი ფული; ამისათვის შეუდგნენ და ახლა სხვა ფრიც ცდილობენ, იქნება მოახერხონ კიდეც: უნდათ გახსნან საქალებო და სავაჟო სკოლა ქალაქის ხარჯით; ვაჟებისა უნდა იყოს სახელოსნო და საბუღგალტერო, ეს უფრო უკეთესია.

ამ საგნის შესახებ ამ თვის 19-ს ჰქონდათ შეყრილობა, რომელზედაც იყო მოწვეული საზოგადოებისაგან ქალაქის უფროსის თანაშემწე თავადი ლევან ჯანდიერი, რომელმაც ილაპარაკა მშვენიერად, ჩააგონა საზოგადოებას სწავლის მნიშვნელობა—თუ რანაირათ საჭირო არის სწავლა კაცისათვის, პური და სწავლა ერთ ტაფაში არიო, როგორათაც პური აგრეთვე სწავლა არის საჭირო კაცისათვისო, — მაშასადამე ეცადით რაღენიც ღონე და ძალა გვაქვს, რომ თავს მოვიყვანოთ ეს აზრიო. დაუმატა: მე დიდათ მოსიხარულე ვარო, რომ ამ კეთილ საქმისათვის შეყრილხართო; ამასთანავე გთხოვეთ, როგორათაც სხვა დროსაც მითხოვნიაო, რომ თვეში ორჯერ მაინც შეგროვდეთ ასეო, ძმურათ მოვილაპარაკოთ ქალაქის საჭიროებაზე; კაცი ცხოვრობს ქვეყანაზე არა თუ მარტო თავის სასარგებლოთ, არამედ საზოგადოებისათვისაც. წინათაც გამამიცხადებია ახლაც ვამბობ, ჩვენ ქალაქს ბევრი ნაკლებულება აქვს, რომლებიც საჭიროა ყურადღება მივაქციოთ. ქალაქს არა აქვს ფარნები; ქალაქს არა აქვს სასეირნო ალაგი როგორათაც სხვა ქალაქებში არის, სადაც კაცს შეუძლიან თავი შეიფაროს სიცხეში, ამისათვისაც არის ვგონებ ისეთი ცარიელი ალაგი, რომელსაც არც პატრონისათვის და არც ქალაქისათვისაც სარგებლობა არ მაქვს, სჯობს რომის მინგრეულ-მონგრეული ალაგები გასუფთავდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ამბობენ, რომ შარშან ძლიერ სინიდისიანათ და მუყაითად ასრულებდა თავის თანამდებობას და წელს კი აუკრა და ნაეარდობსო. ეგ არაფერი.

წასრულსა და აწ მყოს ვინ სჩივა, რაც არის, ნეტავი მომავალსაც ამ ნაირებს არ ეუმზერდეთ! მე ვიცნობ ერთი სასწავლებლის ოთხს უფროს კლასის შაგირდებს. ამათ მეც წარჩინებულთ რიცხვში ვთლიდი და ბევრის სხვებისგანაც გმიგონია ქება და დიდება. მაგრამ ამ შაგირდებმა რა ქნან: ნათქვამია, „ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლისარ ფერსაო“.

ამ ოთხმა შაგირდებმა გამართეს თავიანთთვის ყოველ უქმის წინა დღეს სალიტერატურო საღამოები 7 საათიდგან ვიდრე 12 საათამდი. პირველი და მეორე სხდომა სრულიად უნაყოფოდ გაატარეს ამ თავ მომწონე შაგირდებმა. არა გაუკეთებიათ-რა, გარდა მასხარობისა, ლაზღანდარობისა და უშველი სიტყვების სროლისა. მესამე სხდომა კიდევ უკეთესი იყო: საღამოს 8 საათზე მე მათკენ მიმავალმა გავიგონე იმათი სალიტერატურო ოთახიდგან კიჟინი და აყალ-მაყალი. როცა შევედი ოთახში, ყველას ნაცრის ფერი ედვა სახეზედ და ერთი მეორეს ლანძღავდა:—არა, შენი ბრალია წესიერების დარღვევა და, არა, შენიო. ერთმა მათგანმა, რომელიც დაესვათ თავ-მჯდომარეთ, წარმოსთქვა დაღონებული:

„ვაი ჩვენი ბრალი, რომ ოთხი ამხანაგი ვერ მოვთავსდით ერთად! როცა ოცი და ოც-და-ათი შევიყრებით, რალა სიკეთეს ვიზამთო

სხდომა გათენდა მით, რომ შემდეგში არ იქნებაო და გულ გაგრილებული თავ-თავის ბინაზე წავიდნენ. რასაკვირველია, ესეც დროის ბრალია. თუ კი სხვანი უკუღმა ბრუნავენ, ამათ რა დააყენებდა გადაუბრუნებლათ.

ეჰ, კაცმა რა ქნას, როცა ბუნება ვამოცლილია. წელს გაზაფხულიდგან შუა აგვისტომდი სწორეთ ნანატრი ამინდები იყო, ჭირნახულიც იმისთანა იყო, რომ ყოველი კაცი ორ-ორი წლის სარჩოს ელოდა; შუა მარიამობის თვიდგან კი ისე უკუღმა დაბრუნდა ამინდი, რომ არა თუ ორი წლის სარჩო, ერთი წლისაშიც ეჭვი აქვთ. ისეთ ჯიბრში ჩაუდგა ზენა ქარი და წვიმა ჭირნახულს, რომ საშველს არ აძლევს. 2 ოქტომბერს, ოთხშაბათ ღამეს მაინც იმისთანა ზენა ქარი ამოვარდა, რომ მთელი მაკე იმერეთის ხისა და მიწის ნაყოფი თავქვე დააქცია. ამ თავ-ქვე დაქცეულ ნაყოფს 7 ოქტომბერს, ბლომათ წვიმამ დაასხა და მიწასთან გაასწორა. იკითხოს საწყალმა გლეხმა, თორემ იმერელ თავად-აზნაურობას რა უჭირს. იმნი ზენა-ქარისაგან ჩამონაბერტყ ღომისა და ფეტვის მარცვლით დასუქებულ მწყერებს მიმინოებით იჭერენ და გემოიანათ სჭამენ.

ი. ჭყონია-იმერელი.

და ხეიანი ჩაიყაროს. მარდა ამისი გამოუცხადა, საყსპო ალაგის თვის იზრუნეთო, რადგანაც საკლავი უნდა ქალაქს გარეთ იყოსო, რომ ჰაერი სუფთათ იყოს. შემდეგ თქვა ორიოდე სიტყვა ქალაქის ბანკის გამო, რომ დაწყობილსა ბოლოც მოუყვანონ.

ასე თ. ჯანდარმა გამოუცხადა საზოგადოებას ყოველივე საჭიროება. იმედი არის, რომ საზოგადოებაც უყურადღებით არ დააგდებს ამის კეთილ დარიგებას.

კოშკი კალამი.

ორ-გვარი გრძნობის და ორ-ნაირი შეხედულობის პატრონი

„დროების“ მე-227 №-ში წავიკითხე შერიშენა ბატონის ბ. თუმანიშვილისა და, სწორე მოგახსენოთ, გამაკვირვა ამ შერიშერის უაზრობამ.

თუმანიშვილი ბძანებს, რომ „ადვოკატების“ (ჩემის კომედიის) დაწუნების მიზეზი მე ვარო... მითომ, „თეატრალურს აბხანაგობას“ ნუ აბრალებთო.

დიდება და ქება თუმანიშვილის გემოვნებას!

მაგრამ ეს ველარ გამიგია, როგორ უნდა გაიგოთ შემდეგი მისი სიტყვები:

„პირველი კაცი, რომელიც აღტაცებაში მოვიდა ამ პიესისაგან („ადვოკატები“), —მე გახლდით... პატივცემულ ავტორის ხელოვნურ კითხვამ მაფიქრებინა, რომ ეს პიესა—ნამდვილი სასცენო კომედიაა. ხელ-მეორედ რომ ყურადღებით გადავიკითხე, დავრწმუნდი, რომ პირველი ჩემი აზრი შეცდომა იყო და „ადვოკატები“—გრძელი ვოდევილური სცენებია.“

აქედგან სჩანს, რომ, როცა თუმანიშვილს სხვა წაუკითხავს (რაც უნდა უვარგისი პიესა იყოს), „ადტაცებაში მოვა“ და როცა თვითონ წაიკითხავს, მაშინ პიესა აღარ ევარგება... როცა მე უკითხავდი, მაშინ „ადვოკატები“ „ნამდვილი სასცენო კომედია“ იყო და როცა თვითონ წაიკითხა, მაშინ—„გრძელი ვოდევილური სცენები“ შეიქნა!..

ბასაოცარი ბუნება ჰქონია თუმანიშვილს, რომ ორ-გვარს გრძნობას და ორ-ნაირს შეხედულობას იქონიებს ერთსა და იმავე საგანზედ!..

„გრძელი ვოდევილური სცენები“ რომელიღაა?..

ვოდევილი, როგორც მე ვუწყი, არის პიესა, რომელშიაც სიმღერებია ჩართული და არც გრძელი სცენების მქონეა. „ადვოკატებში“ ვერც ერთს სტრიქონსაც ვერ იპოვით სიმღერისას და სცენებიც იმ ზომისანი არიან, რა ზომისაც თვითონ პიესის მოქმედება და მსვლელობა მოითხოვდა: არც მეტი, არც ნაკლები.

სჩანს აქედგან, რომ თუმანიშვილს არა სცოდნია: რა არის ვოდევილი.

ისა ბძანებს კიდევ:

„ჩემ რეჟისორობის დროს ვცდილობდი რეპერტუარი ამეწყო კომედიებით, ჰაზროვანი მეტადრამებით (მაგ. „პეპო“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და სხვ.)“

კარგი ამბავია!.. მე მეგონა, რომ მელოდრამა ისეთი პიესა არის, რომელშიაც სიტყვები და მუზიკა ერთი მეორეს ადგილს უცვლიან... თუმანიშვილის შეხედულობით კი—სულ სხვა ყოფილა... მეც ორ ნაირი შეხედულობა!.. თითი მომიკვეთავს.

ბოლოს თუმანიშვილი ბძანებს, რომ იმავე დროს „სხვათა შორის წარმოვადგენინებდი ხოლმე იმისთანა ვოდევილებს და ვოდევილურს სცენებს, რომლებშიაც ინტრიგა არ იყო და მხარალიანობა (იყო) მხოლოდ კალმბურებში, ბახასხანურ გინებაში და ენის მტვრევაში... (იყო).

ჩუ, ფი, ფი, ფი, ფი! ვაი, სულო, ვაი ვულო! რა კარგია?! მე რაღათ მეწყინება, რომ ამ გვარი ვემოვნების პატრონმა დაიწუნოს ჩემი კომედია? ჩემთვის ისიც კმარა, რომ „ადვოკატები“ წარსულს, პირველს წარმოდგენაში საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო და რამდენჯერმე თვითონ მეც გამომიხმეს; ტაშის კვრა დიდ-ხანს არ შემწყდარა.

მე მოხარული ვარ მით უფროა, რომ ამ პასუხის წერის მიზეზით, მომეცა შემთხვევა გულითადი მადლობა გამოვუცხადო თავადს მ. პ. ბებუთოვს, რომელმაც იკისრა რეჟისორობა „ადვოკატების“ სცენაზედ დადგმის დროს და ისე დაახელოვნა ზოგიერთნი წარმომადგენელი პირები, რომლითაც, თავიანთის ბუნების ნიჭით დატალანტით ცხოელათ წარმოგვიდგინეს პიესაში გამოხატული პირები... და ამ წარმომდგენელთათვისაც მმართებს უაღრესი მადლობა, მისთვის, რომ მათ, თვით პიესა აამაღლეს თავიანთი კარგის თამაშობით.

თუმანიშვილი გვპირდება „ადვოკატების“ გარჩევას, „როცა წარმოადგენონ და ეხლა კი, აღარა მახსოვს რაო“... მჯერა. ჩვენც მოვუცდით.

თ. რაფ. ერისთავი.

28 ოქტომბერს.

რუსეთი

—

პეტერბურგი, 22 ოქტომბერი.

(„დროების“ კორრესპონდენტი)

ეს ოთხი-ხუთი წელიწადი იქნება, რაც ჩემ საყვარელს მკითხველს არ გამოველაპარაკებივარ. საკვირველია, ღმერთმან იცის, ეს ჩვენი ქართული სიზანტე. თუ ერთი რაშიმე კაცს შეეპარა, შენი მტერი! ვერაფრით ველარ მოიცლებ. მეტადრე მაშინ, თუ ერთ ადგილას ზიხარ, ესე იგი, ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე საზოგადოებაში, ერთსა და იმავე საქმეში ხარ. თუ ღმერთმა ქნა და ადგილიდგან დაიძერ, ესე იგი, სხვა ქვეყანაში გაემგზავრე, სხვა-და-სხვა საზოგადოება ნახე, სხვა-და-სხვა საქმეებს თვალი გადააყოლე, მაშინ ძალაუნებურათ ყოველიფრის ხალისი გეღვიძება კაცსა. სიზანტე ისე ველარა სძლევს; თუ, რა კვირველია, ცოტაც არის მუშაობის ანუ გაკეთების სურვილი ფიქრში მოუვადა. აი მაგალითად მე: იმდენი ვიარე, იმდენი ვნახე, რომ ბოლოს კიდევ საუბრის სურვილი მომივიდა ჩემ მკითხველთან. მართალია, ეხლა დიდის საუბრის მასალა კი არა მაქვს, მაგრამ ხომ იცით რას ამბობს სამღვთო წერილი „მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ.“

მაშ სხვა საკელავოთ დავაგდოთ, ეხლა კი აი რას გეტყვი: თავის დღეში ქართველებს ქართული ენის დოკტორი არა ჰყოლიათ. ცხრამეტ ოკტომბერს კი დიდი შესანიშნავი ამბავი მოხდა აქა. ამ დღეს დაგვებადა ერთი მსწავლული ქართული ენის დოკტორი ბატონი ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც ამ დღესვე დაიცვა უნივერსიტეტში დოკტორის ხარისხის დისსერტაცია.

მთელი ზალა გაჭედილი იყო ხალხით. საკვირველი ეს არის, რომ შარშანდელი ქართული წარმოდგენისა არ იყოს, აქაური რუსული საზოგადოებისა ყოველ საგანს, რაც კი ქართველებს შეეხება, ძალიან ყურადღებით და თანაგრძნობით უცქერის.

მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ ამ დღეს ის გულ-ნაკლულათ დარჩა და ცოტა არ იყოს შეწუხდა კიდეც. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბ. ცაგარელისაგან წარდგენილი თხზულება ანუ უკეთა ვსთქვათ იმისგან შეკრებილი სამეგრელოში სამასი მეგრული სიტყვა და რამდენიმე მეგრული ლექსი სრულებით არ იყო ღირსი მსწავლულ თხზულებებში გარევისა და იმისათვის დოკტორის ხარისხის მიღებისა. როგორც დისსერტაციის დაცვის დროს აღმოსჩნდა, ამ წიგნით კაცი ვერაფერს ისწავლის, ვერაფერში გამოიყენებს, რადგან მეგრული ენის წესები, სრულიად არ არის გამოყვანილი და გამოკვლეული. ბევრი მაგალითები, რომელიც ამ წიგნშია მოყვანილი, ვერ ასრულებს თავის დანიშნულებასა. მარდა ამისა ამ წიგნში აუარებელი ნება-უნებლიეთი შეცდომებია. საკვირველი ეს არის, იმ პროფესორებმა, რომელთაც არც მეგრული და არც ქართული არ იციან, უპოვნეს ცაგარელს ეს შეცდომები. რა იქნებოდა მაშინ ეს პროფესორები რომ ქართველები ყოფილიყვნენ და მეგრული სცოდნოდათ?!!

რაღა ბევრი გაგაგრძელოთ; მართალია, ბოლოს როგორც იყო ბ. ცაგარელი იცნეს ქართული ენის დოკტორათ, მაგრამ ბევრი მწარე წკეპლა მოხვდა, ასე რომ სხვა უმისოდ, მგონი, არც იმ გვარ წკეპლებს ისურვებდა და არც დოკტორობის ღირსებას.

მართალია, ჩემო კარგო მკითხველო, იქნება სთქვა: აი ცუდი კაცო, ქართველმა ქართველზედ თუ ავი არა სთქვა, ხომ არ იქნებაო. მე ამაზედ იმ შემთხვევაში დაგეთანხმები, თუ დესაც აძაგებენ ისეთ ქართველსაც, მელიც თავისთვის არის, თავის ყოფა-ცხოვრებით და ქცევით არავის ავნებს. მაშინ ამ კაცის ავათ ხსენება დიდი ავ-კაცობაა. მაგრამ როდესაც კაცი არავის უჯერებს და საზოგადოების ასპარეზზედ გამოდის, ამბობს: ესა და ეს შემიძლიანო, კისრულობს საზოგადო ტვირთის ტარებას, საზოგადო მოვალეობის ასრულებას, როდესაც იმას ეს სრულებით არ შეუძლიან, მაგრამ თავ-მოყვარობის გულისათვის ამას ეკიდება, მაშინ ყოველი ნამდვილი მამულის-შვილი მოვალეა საზოგადოებას დაანახოს ამ თავის მოყვარე და ტრაბახა კაცის უძალობა, გააფთხილოს საზოგადოება იმ მავნებლობისაგან, რომელიც ამ კაცს შეუძლიან მოუტანოს. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლიან ცოტაოდნათ მაინც გადვურჩეთ იმ თვალთ-მაქცთ და მატყუარა ბაირაღტრებს, რომელნიც ცდილობენ სხვა-და-სხვა შემთხვევაში საზოგადოების ნდობა დაიმსახურონ.

დროებითი პეტერბურგელი.

განცხადებანი

—

ახალგაზდა კაცი, მცოდნე ორ-ზომა-იტალიანური ბუხგალტერიისა მსურველია იმეცადინოს სადილს შემდეგ საკუთარს კანტორაშიაცა. ამასთანავე აძლევს გაკვეთილებს, როგორც ბუხგალტერიის ნაწილისა ისე ყოველივე საგნებში პროგიმნაზიის კურსისა.

იკითხოს: 5 უჩასტკაში **სურპანიშნის** საკუთარ სახლებში, **№ 17-ში იაკობ ტერ-აკოპოვი.**

5—3

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შედარებით ნაწნი ნაი—1 მ. 10 კ. მოხმარების ნაის—1 მ. 40 კ.

—	—	—1—20	— —1—60
—	—	—1—40	— —1—80
—	—	—1—60	— —2— „
—	—	—1—80	— —2—50
საუკეთესო		—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—48)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ტფილისის გუბერნიის თად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო, უზენაესად დამტკიცებულის ამაევ ბანკის წესდების § 16 ძალით ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 27-ს ეხლანდელ 1880 წ. შუადღის 12 საათზე, ტფილისში, ბანკის სადგომში სოლოლაკის ქუჩაზე პ. შორღანოვის სახლში № 3 ქვეშ დანიშნულია საზოგადო ვაჭრობა. დროგადაუდებლად, ქვემო მოხსენებულ პირთ უძრავ მამულთა, რადგანაც მათ არ შემოიტანეს ამ ბანკისაგან გატანილ სესხის ვადის გადასახდელი ბანკის წესდების 29, 30, 34 და 86 § § მებრ.

ანდრონიკოვ, რევაზ Ივანესძე სამ-სართულიანი ქვის სახლი, მეზონინითურთ და სარდაფი 612 ოთხ-კუთხ. ძიწით 1 ნაწილში 2 განყოფილებაში. ქ. ტფილისში საპიორნის ქუჩაზე ძირი ხარჯი 12,118 მან. 26 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 1550 მ. 67 კ. სულ ცამეტი ათასი ექვსას სამოც-და-რვა ოთხმოც-და-ათი კაპ.

ფალდაკოვი, მიხეილ ნიკოლოზის-ძე ერთ სართულიანი ქვის სახლი 14½ ოთხ-კუთხი მიწით, 4 განყოფილებაში. ქ. ტფილისში ვანქის ქუჩაზე. ძირითადი ვალი 639 მან. 80 კ. გადაუხდელი ხარჯი 56 მ. 61 კ. სულ ექვსას ორმოც-და-თერთმეტი მან. ორმოც-და-ერთი კაპ.

ფავლენოვისა, მარიამ ანდრეევნის ერთ სართულიანი ქვის სახლი 28 ოთხ-კუთხ: ქვის სახლი 12 ნაწილში 2 განყოფილებაში ქ. ტფილისში, ჩუღურეთში. ძირითადი ვალი 365 მ. 64 კ. გადაუხდელი ხარჯი 55 მან. 80 კ. სულ ოთხას ოც-და-ერთი მან. ორმოც-და-ოთხი კაპ.

ხანდამოვ, მირონ Ფრიდონის-ძე ორ სართულიანი ქვის სახლი 54⁶⁵/₁₀₀ ოთხი-კუთხი საქ. მიწით 1 განყოფილებაში ქ. თფილისში. ძირითადი ვალი 3656 მან. 8 კ. გადაუხდელი ხარჯი 374 მან. 80 კ. სულ ოთხი ათას-ოც-და-ათი მან. ოთხმოც-და-რვა კაპ.

სტინგა, ანნა Ივანეს ასული, ორი ორ სართულიანი ქვის სახლი 111½ ოთხ-კუთხ. საქ. მიწით 11 ნაწილში 2 განყ. ქ. ტფილ. ელისაველტნიკის ქუჩ. ძირითადი ვალი 18,476 მან. 14 კ გადაუხდელი ხარჯი 964 მან. სულ ცხრამეტი ათას ოთხას ორმოცი მან. თოთხმეტი კ.

ერასთავი, Алексанდრე პაველის-ძე წისქვილი და მასთან სადგომი 5610 ოთხ-კუთხი საქ. მიწით ქ. ბორში. ძირითადი ვალი ექვსი ათას ოთხას სამოც-და-ექვსი მან. 63 კ. გადაუხელი ხარჯი 343 მან, 90 კ. სულ ექვსი ათას რვაას ათი მან. ორმოც-და-ცამეტი კაპ.

ოძელოვისა, ნინო Რევანეს ასული, ორი ნაკვეთი მიწა 200 ოთხ-კუთ. საქ. შენობებით: პირველ ნაკვეთზე ორ-სართულიანი ქვის სახლი, ორ-სართულიანი სახლით მოსამსახურეთათვის, ორ-სართულიან ფლიგელით და ერთ-სართულიანი ქვის სახლით, 2 ნაკვეთზე ორი ერთ-სართულიანი ქვის სახლი, 1 ნაწილში 1 განყოფ. ქ. ტფილისში Ოლგინის ქუჩაზე. ძირითადი ვალი 6,466 მან. 64 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 343 მან. 90 კ. სულ ექვსი ათას რვაას ათი მან. ორმოც-და-თოთხმეტი მან.

ჭიჭინაძე, მგნატე ნიკოლოზის-ძე. რამდენიმე ერთ-სართულიანი სახლები 115 ოთხ-კუთხ. მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში მთაწმინდის ჯორს. ძირითადი ხარჯი 652 მან. 68 კ. გადაუხ.ვალი 55 მან. 91 კ. სულ შვიდას რვა. მან. ორმოც-და-ცხრამეტი კაპ.

პავლიევი, Иაკობ სიმონის-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი 72 ოთხ-კუთხ. საქ. მიწით. 5 ნაწილში, 1 განყოფ. ქ, ტფილისში ნემერცის ქუჩაზე. ძირითადი ვალი 5,593 მან. 48 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 670 მან. 73 კაპ. სულ ექვსი ათას ორას სამოც-და-ოთხი მან. ოც-და-ერთი კაპ.

სტინგა, Екатერინე Иვანეს ასული. სამ-სართულიანი ქვის სახლი ფლიგელით და მიშენებებითურთ, 313³/₄ ოთხ-კუთხ. საქ. მიწით. 1 ნაწ. 1 მიხაილოვის განყოფილებაში ქ. ტფილისში. ძირითადი ხარჯი 26,152 მან. 82 კაპ. გადაუხდელი ვალი 2,889 მან. 89 კაპ. სულ ოც-და-ცხრა ათასი მან. სამოც-და-თერთმეტი კაპ.

ფუღინოვი, Иაკ ნიკოლოზის-ძე. ორი სამ-სართულიანი სახლი ორი სამ-სართულიანი ფლიგელით 156 ოთხ-კუთ. საქ. და 7 ადლი მიწით. 6 ნაწილში 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში ნორაშენის და სააზნაურო ქუჩ. კუთხეში. ძირითადი ვალი 17,435 მან. 21 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 1,158 მან. 74 კაპ. სულ თერამეტ ათას ხუთას ოთხმოც-და-ცამეტი მან. და ოთხმოც-და-თუთხმეტი კაპ.

მეხტიევი, სადიყ Ასკარ-Ოღლი ორ-სართულიანი სახლი, ერთ-სართულიანი მიშენებითურთ 547 ოთხ-კუთხი საქ. მიწით 9 ნაწილში 1 განყოფ. ქ. ტფალისში. ძირითადი ვალი 1,181 მან. 73 კ. გადაუხდელი ხარჯი 78 მან. 90 კ. სულ ათას ორას სამოც-და-ექვსი მან. და სამოც-და-სამი კაპ.

ს

შკარბაკოვი, Ელისტრატ მაქიმის-ძე და Авдитია Алექსის ასული ქართულიანი ქვის სახლი, სარდაფით 144½ ოთხ-კუთ. საქ. მიწით 10 ნაწილში, 2 განყ. ქ. ტფილ. ძირითადი ვალი 1,488 მ. 75 კ. გადაუხდ. ხარჯი 81 მან. 58 კ. სულ ათას ხუთას სამოც-და-ათი მან. და ოც-და ცამეტი კაპ.

ჭაჭუაძე, Ниკოლოზ და მიხეილ Ზურაბის-ძენი. სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილნი და ტყე 669 დეს. და 180 ოთხ-კუთხ. საქ. მიწით. ტფილისის გუბერ. Თიანეთის მაზ. საჭაიჭავაძოს აგარა და ნაკვეთი Ალოთის წოდებისა. ძირითადი ვალი 2,459 მან, 57 კ. გადაუხდელი ხარჯი 116 მან. სულ ორი ათას ხუთას სამოც-და-თუთხმეტი მან. და ორმოც-და-ჩვიდმეტი კაპეიკ.

ხამშიაშვილნი, Ниკოლოზ, Нინო და Მარიამ Გიორგის ძენი და ქვრივი Екатერინე Бეჟანოვისა. სახნავი და საძოვარი ადგილები 653 დესეტ. 1820 ოთხ-კუთხი საქ. მიწით Თფილ. გუბერნ. Თიანეთის მაზრ. Ანტკის-ხევის აგარაში. ძირითადი ვალი 4427 მან. 25 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 200 მან. 80 კაპ. ოთხი ათასი ექვსას ოც და-რვა მან ხუთი კაპ.

ალექსეევ, მესხიევ, მიხეილ Დიმიტრის ძე. სამი ნაკვეთი მიწა 178 დეს. 840 ოთხ-კუთხი საქ. მიწით Თფ. გუბ და მაზრ. სოფ. Ახალდაბაში. ძირითადი ვალი 3935 მან. 31 კ. გადაუხდელი ხარჯი 189 მან. 60 კაპ. სულ ოთხი ათასი ას ოც-და-ოთხი მან. ოთხმოც-და-თერთმეტი კაპ.

ერასთავი, Გიორგი Გიორგის ძე სახნავი და საძოვარი ადგილები 243 დესეტ. 1263 ოთხ-კუთხი საქ. მიწით. Თფილ. გუბერნ. Თელავის მაზრაში, Ჭისტაყურის აგარაში. ძირითადი ვალი 7870 მან. 63 კაპ. გადაუხდ. ხარჯი 349 მ. 20 კაპ. სულ რვა ათას ორას ცხრამეტი მან. ოთხმოც-და-სამი კაპ

შალაშვილისა, მარიამ Დიმიტრის ასული სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილი 2867 დესეტ. 562 ოთხ-კუთხ. საქ. მიწით. Თფილისის გუბერნ. და მაზრაში სადახლოს, Ჭოჭყანის, Ძველო-წოფი, Თახლი-ქიმცა, Არაბა-ტაგას, Პალან-ტაკიან, Ბადიტალა, ხუჯაბის, Ლიალვარის საძოვრების და ხუდი-ბანას წოდებით: Არაბათალას და Ბულიბალის აგარები. ძირითადი ვალი 49,477 მან. 5 კ გადაუხდ. ხარჯი 3515 მან. 42 კაპ. სულ ორმოც-და-თერმეტი ათასი ცხრაას ოთხმოც-და-ათი მან. ორმოც-და-შვიდი კაპ.

ციციშვილი, Ქარილი Ელიშერის ძე. სახნავი და საძოვარი ადგილნი და ტყე 847 დეს. და 600 ოთხ-კუთხი საქ. Თფ. გუბ. და მაზრ. სოფ. Ახშლალადალვე (იგივე მამაი) ძირითადი ვალი თუთხმეტი ათასი რვაასი ოც-და-თერმეტი მან 65 კ. გადაუხდელი ხარჯი 893 მან. 68 კ. სულ თექვსმეტი ათასი შვიდას ოც-და-თერთმეტი მან. ოც-და-ცამეტი კაპ.

ჯერელაძე, Иვანე Иვანეს ძე. სახნავი და საძოვარი ადგილნი და ტყე 104 დეს. 1200 ოთხ-კუთ საქ. მიწით. Თფ. გუბ. და მაზრ. სოფ. Ბოღვში. ძირითადი ვალი 2968 მან. 61 კ გადაუხდელი ხარჯი 180 მან. 42 კაპ. სულ სამი ათას ას ორმოც-და-ცხრა მან. სამი კ.

სოლაღაშვილი, Იასე Ჭაიხოსროს ძე. სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილი და ტყე როგორც საძოვარი 212 დეს. და 150 ოთხ-კუთხი საქ. მიწა Თფ. გუბ. და მაზრაშივე მონასტერის უდაბნოში. ძირითადი ვალი 1984 მან. 55 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 94 მან. 80 კ. სულ ორი ათასი სამოც-და-ცხრამეტი მან. ოც-და-თუთხმეტი კაპ.

ჯამბაკურიან-ორბელიანი, Ალექსანდრე Иვანეს ძე. სახნავი და საძოვარი ადგილნი 2189 დეს. 1987 ოთხ-კუთხი საქ. Თფილისის გუბ. და მაზრაშივე, Წინანაურის, Კასალარის, Ბაშიჩეთის აგარებში. ძირითადი ვალი 34,729 მ. 55 კაპ. გადაუხდელი ხარჯი 1494 მან. სულ ოც-და-თექვსმეტი ათასი ორას ოც-და-სამი მან. ორმოც-და-თუთხმეტი კაპ.

ქუთათელაძე, მართა Ციფიანის ასული. Თყე ზომით 203 დესეტ. 450 ოთხ-კუთხ. საქ. Თფილისის გუბერნ. Თელავის მაზრ. Ზემო-ხოდაშენის აგარაში. ძირითადი ვალი 987 მ. 93 კ გადაუხდელი ხარჯი 52 მან. 40 კ. სულ ათას ორმოც-დაშვიდი მან. ოც-და-ცამეტი კ.

ერასთავი, Გრიგოლ Პავლეს-ძე სახნავ და საძოვარი ადგილნი და ტყე ზომით 422 დეს. 1160 ოთხ-კუთხი საქ. Თფილისის გუბ, Გორის მაზრაში სოფ. Ღვარებში. ძირითადი ვალი 3979 მან. 70 კ. გადაუხდელი ხარჯი 189 მან. 60 კ. ოთხი ათას ას სამოც-და-ცხრა მან. ოც-და-ათი კ.

თუმანოვისა Бარბალე Иვანეს ასული. ოპეკუნშა სახნავი ადგილნი და ტყე 290 დეს. 1502 ოთხ-კუთხ. საქ. Თფილისის გუბერ. და მაზრაშივე სოფ. Წოდორეთში. ძირითადი ვალი 6923 მან. 35 კ. გადაუხდელი ხარჯი 300 მან. 19 კ. სულ შვიდი ათას ორას ოც-და-სამი მან. ორმოც-და-თორმეტი კაპ.

(შემდეგი იქნება.)

3—2

Дозволено цензурою. Тифлисъ 29 Октября 1880 г. Типографія Меликова Გამომც. ს.მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.